საიდ. №74870/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №145-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ”-ს (GENERAL MOTORS LLC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №145-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 03 ივლისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №814/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET ONIX” (საიდ. №74870/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-12 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 03 ივლისის №814/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "CHEVROLET ONIX" რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის "ALSTOM Transport SA.“ სახელზე, საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით, საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა: „ONIX“ (IR 781170, რეგ. თარ. 2002-01-24, საქართველოზე გავრცელების თარიღი: 2009-04-09). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, სახეზეა, როგორც ვიზუალურად, ასევე ფონეტიკური მსგავსება, რაც ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას ქმნის მე-12 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, შესაბამისად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება, როგორც გრაფიკულად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. გრაფიკული თვალსაზრისით, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან ნაწარმოებ ნიშანს, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი ერთსიტყვიანი აღნიშვნაა, შესაბამისად, ნიშნების

მკვეთრი ვიზუალური განსხვავება აშკარად თვალშისაცემია. ნიშნებს შორის განსხვავებას კიდევ უფრი აძლიერებს ის გარემოება, რომ როგორც ცნობილია, სიტყვიერი ნიშნების შემთხვევაში მომხმარებელი უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს სიტყვის ან ფრაზის საწყის ნაწილს, განსაკუთრებით, მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ეს სიტყვა „CHEVROLET“ წარმოადგენს მომხმარებლისათვის ავტომობილის მარკირების კარგად ცნობილ სასაქონლო ნიშანს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად არ არიან აღრევამდე მსგავსნი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის როგორც „შევროლე ონიქს“, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორს „ონიქს“. შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობა აბსოლუტურად განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშნები, ასევე განსხვავებულია სემანტიკურად. განცხადებული ნიშანი „CHEVROLET ONIX“ სემანტიკური მნიშვნელობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფრაზა „შევროლეს ონიქსი“, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი სემანტიკურად წარმოადგენს მინერალ „ონიქსის“ დასახელებას. ასეთი შინაარსობრივი განსხვავებაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნიშნები სრულიად განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET ONIX“ მფლობელი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ“ საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-12 კლასის საქონლიდან, ძირითადად, აწარმოებს სატრანსპორტო საშუალებებს, ხოლო

დაპირისპირებული ნიშნის „ONIX“ მფლობელი კომპანია „ალსტომ ტრანსპორტ სა“ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, წარმოადგენს სარკინიგზო ტრანსპორტისა და ენერგეტიკისათვის განკუთვნილი დანადგარების მწარმოებელ კომპანიას, რომელიც, ამავე დროს, მოღვაწეობს ტრანსპორტის დიზაინისა და ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნაში. დაპირისპირებული ნიშანი რეგისტრირებულია სრულიად განსხვავებული საქონლის ჩამონათვლისათვის: „მუდმივი მაგნიტური ასინქრონული და სინქრონული მოტორები, ელექტრული ძრავული აპარატები და აღჭურვილობა რკინიგზისა და საგზაო სატრანსპორტო საშუალებებისათვის“, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. მით უმეტეს, რომ განცხადებული ნიშნის მფლობელს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ“, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერს მსოფლიო ბაზარზე ავტომობილების წარმოებაში. ბუნებრივია, რომ მას არ აქვს განზრახვა, ისარგებლოს სხვა კომპანიის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის მსგავსი ნიშნით და ამით შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის მწარმოებლის მიმართ. ზემოთქმულის დასტურად, აპელანტი კომპანია „ჯენერალ მოტორს ლლკ თანახმაა“, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „მოტორიანი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები, გარდა მუდმივი მაგნიტური ასინქრონული და სინქრონული მოტორებისა და რკინიგზისა და საგზაო სატრანსპორტო საშუალებების ელექტრული ძრავული აპარატებისა და აღჭურვილობისა“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტომობილის მარკა „CHEVROLET“ წარმოადგენს კომპანიის „ჯენერალ მოტორს ლლკ“ პოპულარულ და საკმაოდ ძვირადღირებულ ავტომობილის, რაც განაპირობებს მომხმარებლის განსაკუთრებულ ყურადღებას საქონლის შეძენისას. მომხმარებელი გარკვეულ დროს ხარჯავს ავტომობილის შერჩევისას, ითვალისწინებს მის ღირებულებას

სხვადასხვა შემოთავაზებებისას, არჩევს მანქანის სხვადასხვა მახასიათებელს (ფერი, სავარძლების მასალა, პანელი და ა. შ.), ეს ფაქტი კი სრულიად გამორიცხავს ამ ორი ნიშნის აღრევას და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ, მით უმეტეს, რომ კომპანიის „ალსტომ ტრანსპორტ სა“ (ALSTOM Transport SA) კუთვნილი სასაქონლო ნიშნით „ONIX“ მონიშნული საქონლის შეძენა ხდება სრულიად სხვა პირობებში, ვინაიდან კომპანიის მიერ წარმოებული საქონელი სპეციფიური ხასიათისაა, როგორც დანიშნულების (ურბანული ტრანსპორტი), ასევე, შესყიდვის თვალსაზრისით (მისი მომხმარებლები არიან, ძირითადად, მსხვილი ურბანული და სამრეწველო-ტექნიკური პროექტების განმხორციელებელი კომპანიები). აპელანტის მითითებით, წინამდებარე სააპელაციო საჩივრის განხილვისას, გასათვალისწინებელია ექსპერტიზის გადაწყვეტილებები სასაქონლო ნიშნების **IR 1044020** და **IR 1043658** საქართველოში დაცვაზე, რომლებიც ექსპერტიზამ არ მიიჩნია მსგავსად კომპანიის „ჯენერალ მოტორს ლლკ“ კუთვნილი ნიშნისა „**CADILLAC ATS**“, ჩათვალა რა ნიშნის ძირითად ნაწილად სიტყვა „**CADILLAC**“, რაც უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების მსგავსების დადგენისას ექსპერტიზის ერთნაირ მიდგომას. საყურადღებოა, რომ ეს გადაწყვეტილება გაიზიარა სააპელაციო პალატის კოლეგიამაც და ექსპერტიზის მოსაზრება, რომ ეს ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი, საფუძვლად დაუდო გადაწყვეტილებას ნიშნების რეგისტრაციის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 03 ივლისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №814/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET ONIX” (საიდ. №74870/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „CHEVROLET ONIX" (საიდ. №74870/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ONIX" (IR 781170) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან „CHEVROLET ONIX", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ერთი სიტყვისაგან „ONIX". მხოლოდ ის გარემოება, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური სტანდარტული ასომთავრული ასოებით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ისინი ვიზუალურად მსგავსად იქნეს მიჩნეული. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკურად, კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც "შევროლე ონიქს", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი გამოითქმის, როგორც "ონიქს". განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ნაწილი „CHEVROLET" წარმოადგენს ნიშნის დომინანტ ნაწილს და ნიშანზე დაკვირვებისას სწორედ ამ სიტყვაზე კეთდება ძირითადი აქცენტი.

შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ მოხდება ნიშნების ერთმანეთში აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „CHEVROLET ONIX" (საიდ. №74870/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯენერალ მოტორს ლლკ" (GENERAL MOTORS LLC) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 03 ივლისის №814/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „CHEVROLET ONIX" (საიდ. №74870/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:

ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ქ. კილაძე

წევრები: ს. ებრალიძე

ს. დუმბაძე